ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის

ბრძანება № **173**

KA000082045218020

09 / ოქტომბერი / 2020 წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საქმისწარმოებისა და მომსახურების განხორციელების შესახებ

ელექტრონულის საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა არის საჯარო დაწესებულებებში საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური, სრულყოფილი, პროგრესული და მძლავრი პროდუქტი. მისი მიზანია საქმისწარმოების პროცესების მაქსიმალური გამარტივება, ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია. სისტემა უზრუნველყოფს საოფისე დოკუმენტაციის ეფექტურ ელექტრონულ მართვასა და საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფ წვდომას. სისტემის საშუალებით მარტივად ხორციელდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესი. ელექტრონული წარმოება მრავალმხრივი შესაძლებლობებით გამოირჩევა: მარტივი და მომხმარებელზე მორგებული ინტერფეისი, კანცელარიის პროგრამების სტანდარტებთან თავსებადობა, სხვა სისტემებთან მარტივი ინტეგრირება, შაბლონების, დოკუმენტების კატეგორიებისა და დავალებების ეფექტური მართვა; შესრულების მიმდინარეობის კონტროლი, დავალებებზე ჯგუფური მუშაობის, ელექტრონული დადასტურებისა და ხელმოწერის, დავალებებისა და დოკუმენტების ძებნის მოქნილი შესაძლებლობა, ფაქსიმილიე, თანამდებობრივი ისტორია, დელეგირება, დოკუმენტების არქივი, ჩატვირთული დოკუმენტების რეესტრის მონაცემები, ,,პირადი ფილტრები“ შესრულებული და შეუსრულებელი დოკუმენტების კონტროლი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის N1334 განკარგულების შესაბამისად, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს შორის 2019 წლის 16 აგვისტოს SRMIDP/C/SSS/MSDA/01-2019 გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სააგენტო ახორციელებს პროექტს „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება“. პროექტის მიზანია ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტის შექმნა საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო გადადის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ახალ სისტემაზე (https://apps.municipal.gov.ge/), ამდენად, ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის № 21/56 დადგენილებით დამტკიცებულის რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე უძღვება საკრებულოს მუშაობას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობას.

ამდენად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით უნდა განისაზღვროს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საქმისწარმოებისა და მომსახურების განხორციელების ღონისძიებები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 53-ე მუხლების, 61-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის

№ 21/56 დადგენილებით დამტკიცებულის რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (https://apps.municipal.gov.ge/) მეშვეობით საქმისწარმოება და მომსახურება განხორციელდეს 2020 წლის 12 ოქტომბრიდან.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საკრებულოს აპარატმა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (https://apps.municipal.gov.ge/ მეშვეობით საქმისწარმოება და მომსახურება განახორციელოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ინსტრუქციისა **(თანახმად დანართისა)** და მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ამასთანავე, აღნიშნული ბრძანების გამოცემის შემდგომ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (https://apps.municipal.gov.ge/ ვებგვერდზე არსებულ განახლებულ ინსტრუქციას აქვს უპირატესი ძალა წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში.

3. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 შესაბამისად, ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდის დამოწმებაზე პასუხისმგებელ პირად, განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი თეონა ახალაია ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ მიენიჭოს შესაბამისი შტამპის გამოყენების უფლება.

4. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტების შესაბამისად, მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ასლის დამოწმებაზე პასუხისმგებელ პირად, განისაზღვროს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ლელა ჩიჩუა ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ მიენიჭოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ელექტრონული შტამპის გამოყენების უფლება.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საქმისწარმოებისა და მომსახურების განხორციელების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 22 დეკემბრის N234 ბრძანება.

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

7. ბრძანება ძალაშია 2020 წლის 12 ოქტომბრიდან.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ბექა ვაჭარაძე